# ლარის ისტორია

## თამაშის ინსტრუქცია

## მომზადება

**მონაწილეების დაყოფა:**
დაყავით მონაწილეები გუნდებად ისე, რომ საბოლოოდ თითოეულ გუნდს თითო ბარათი შეხვდეს (13 ბარათი - 13 გუნდი).

**ვარიაციები მონაწილეების რაოდენობის მიხედვით:**
მცირე რაოდენობის მონაწილეების შემთხვევაში შესაძლებელია თითო ბარათის წყვილებისთვის, ან ინდივიდუალურად განაწილება. 13-ზე ნაკლები რაოდენობის მონაწილის შემთხვევაში, შესაძლებელია ერთ მონაწილეს შეხვდეს რამდენიმე ბარათიც.

## თამაშის მიზანი

მონაწილეებმა უნდა შექმნან ლარის ისტორიის ქრონოლოგიური ხაზი 90-იანი
წლებიდან დღემდე.

## თამაშის მსვლელობა

### ნაბიჯი 1: თამაშის დაწყება (ფასილიტატორის მაგალითი)

- იღებთ 2000 წლის ბარათს (საწყისი ბარათი) და კითხულობთ მასზე მოცემულინფორმაციას ხმამაღლა
- ამოატრიალებთ ბარათს (წლის გამოსახულებით წინ) და დებთ/აკრავთ დაფაზე შუაში

*[თამაშის ბოლოს მონაწილეები განლაგებულნი უნდა იყვნენ U-ს სახით ან სწორ ხაზზე (თუ სივრცე გაძლევთ საშუალებას): მარცხნივ იქნება ყველაზე ადრინდელი მოვლენები, მარჯვნივ - უახლესი.]*

## ნაბიჯი 2: 1-ელი გუნდის ჯერი

- გამოგყავთ პირველი გუნდი, აძლევთ რომელიმე ბართს და სთხოვთ, ხმამაღლა წაიკითხონ ბარათზე მოცემული ისტორია.
- **მნიშვნელოვანია!** გუნდები ვერ ხედავდნენ ბარათის უკანა მხარეს (წელს)!
- გუნდი ფიქრობს: ეს ამბავი საწყის ბარათზე, ანუ 2000 წლამდე მოხდა, თუ 2000 წლის შემდეგ და შესაბამისად უნდა დადგნენ ან ამ ბარათამდე, ან ბარათის შემდეგ.
- ადგილის დაკავების შემდეგ, გუნდი ატრიალებს ბარათს და კითხულობს თარიღს: თუ სწორად განლაგდნენ, რჩებიან ადგილზე და უკრავთ ტაშს. თუ არასწორია - დადგებიან შესაბამის ადგილზე.

## ნაბიჯი 3: თამაშის მსვლელობა

გამოგყავთ თითოეული გუნდი დაფასთან რიგრიგობით, საათის ისრით მიმართულებით.

**თითოეული გუნდი:**

**ა) წაკითხვა:** კითხულობს თავის ბარათზე მოცემულ ინფორმაციას ხმამაღლა

**ბ) პოზიციის არჩევა:** იმის მიხედვით, თუ როდის ფიქრობენ რომ მოხდა ეს მოვლენა, ირჩევენ და დგებიან ერთ-ერთ პოზიციაზე:

- უკვე განთავსებული ბარათ(ებ)ის წინ
- ბარათებს შორის
- ბარათ(ებ)ის შემდეგ

**გ) შემოწმება:** ატრიალებენ ბარათს და ამოწმებენ თარიღს. თუ პასუხი:

- სწორია - მონაწილეები ტაშს უკრავენ გუნდს,
- არასწორია - გუნდი უნდა გადადგეს სწორ ადგილზე

ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ყველა გუნდი არ წაიკითხავს თავის ბარათს და
არ შექმნება სრული ქრონოლოგიური ხაზი.

## ნაბიჯი 4: თამაშის დასრულება

იქმნება ლარის ისტორიის სრული ქრონოლოგიური სურათი